

ბეტინა ბრენტანო

Bettina Brentano

გოეთეს მიმოწერა ბავშვთან

Goethes Briefwechsel mit einem Kinde

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2025

წიგნმა, რომელიც ბეტინა ბრენტანოს მიერ 1835 წელს გამოიცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გოეთეს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და ფართო საზოგადოებას მისი სახელი ახლებურად გააცნო. წიგნი მოიცავს ბეტინასა და გოეთეს შორის 1807-1824 წლებში გამართულ მიმოწერას. თავისი ნიჭის, ემოციური მუხტისა და ეპოქის დიდ შემოქმედებთან მეგობრობის წყალობით ბეტინა გერმანული რომანტიზმის მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. ბეტინას წიგნი არა მხოლოდ მისი ახალგაზრდობის დროინდელი წერილების გამოცემაა, არამედ უნიკალური და ემოციური თხრობა, რომელიც გერმანული რომანტიზმისა და იმ ეპოქის კულტურის ერთგვარ „სურნელს“ იტევს.

მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე

კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი

დიზაინერი: ნიკა ჯიბლაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7516-8

სარჩევი

ბეტინას სიყვარულის ამბავი (მთარგ. წინასიტყვაობა)....	5
წინათქმა, გოეთეს დედას.....	29
მიმოწერა გოეთესთან.....	37
ბეტინას დღიურიდან.....	71
მეგობარს.....	91

ბეტინას სიყვარულის ამბავი (მთარბმნელის წინასიტყვაობა)

ეს წიგნი 1835 წელს, გოეთეს გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, გამოიცა და არა მხოლოდ ავტორს გაუთქვა სახელი, არამედ, შეიძლება ითქვას, გოეთეს ხელახალ განდიდებასაც ჩაუყარა საფუძველი. გოეთეს გვიანდელი თხზულებები მხოლოდ შედარებით ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი, მისი სიყმაწვილისდროინდელი ნაწარმოებებით აღტაცება კი იმ დროისათვის მეტნაკლებად დამცხრალიყო. ახალგაზრდა მწერლებში გოეთესადმი ანტიპათია შეიმჩნეოდა. აი, სწორედ მაშინ გამოქვეყნდა ეს მიმოწერა და გოეთეს, როგორც ვაიმარის კლასიკის ფუძემდებლისა და ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის, საუკუნოვან მითოსს ჩაუყარა საფუძველი.

წიგნის ავტორი ფრანგულ-იტალიურ-გერმანული წარმოშობის ბეტინა ბრენტანო, მკაცრად თუ განვსჯით, არც მწერალი გახლდათ და, მით უფრო, არც პოეტი, თუმცა განგებამ რომანტიკოს ლიტერატორთა იმდენად კაშკაშა

თანავარსკვლავების არეში მოაქცია და საკუთარ თავშიც იმდენად ძლიერ შემოქმედებით მუხტს დაატარებდა, რომ გერმანული რომანტიზმის მნიშვნელოვან წარმომადგენლად იქცა. ცხადია, მასზე დიდი გავლენა უახლოესმა გარემოცვამაც მოახდინა: შეძლებული ფრანკფურტელი ვაჭრის, პეტერ ანტონ ბრენტანოს, ოჯახში 1785 წელს დაბადებული ბეტინა ორ დიდ გერმანულ რომანტიკოს პოეტს, ე.წ. ჰაიდელბერგის სკოლის წარმომადგენლებს, ენათესავებოდა – კლემენს ბრენტანოს (1778-1842) ღვიძლი და და ახიმ ფონ არნიმის (1781-1831) მეუღლე იყო.

შეიძლება ითქვას, ამ წიგნის იდეას ბეტინა სიყრმიდან გულში დაატარებდა. ბავშვობაში, მონასტრის სასწავლებლიდან დაბრუნების შემდეგ, გრილენჰიუტეს მშობლურ მამულში მან აღმოაჩინა გოეთეს წერილები, რომლებსაც ახალგაზრდა გოეთე 1772-1775 წლებში ბეტინას ბებიას, სოფი ფონ ლაროშს,¹ სწერდა. გოგონამ სწორედ ამ წერილებიდან შეიტყო, რომ გოეთეს ახალგაზრდობაში მისი დედა, იმხანად უკვე გარდაცვლილი მაქსიმილიანე ჰყვარებია. მაქსის ქალიშვილმა ბეტინამ ამ სიყვარულში თავი ერთგვარად დედის მემკვიდრედ იგრძნო. გულდაგულ გადაწერა ეს წერილები, შემდეგ კი გოეთეს დედას ეწვია. ხანდაზმულმა, თუმცა ხალისიანმა და ადამიანთა გულდაგულ მცოდნე ქალბატონმა ცნობისმოყვარე და მგრძნო-

1. სოფი ფონ ლაროში (1730-1807) – გერმანული განმანათლებლობის ეპოქის მწერალი, სენტიმენტალური რომანების ავტორი, ლიტერატურული სალონის დიასახლისი, ბეტინას გამზრდელი ბებია (მისი დედის დედა).

ბეჭდის ბრენდინგის

გთხოვთ მომლოდინე ბავშვობის

წინათქმა

*ეს წიგნი კეთილთათვისაა
და არა – ბოროტთათვის*

სანამ ამ ქალაქებს სტამბისათვის ვაწესრიგებდი, ბევრი ეცადა ჩემს დაყოლიებას, რომ ზოგი ადგილი გამომეტოვებინა ან შემეცვალა, ემანდ, მცდარად არ გაგიგონო. მაგრამ მალე შევატყვე, კეთილ რჩევას მხოლოდ მაშინ უნდა მიჰყვე, როცა ის შენს გულისთქმას არ ეწინააღმდეგება. მრავალი რჩევიდან მე მხოლოდ ერთი მომეწონა: „ეს წიგნი კეთილთათვის არის და არა – ბოროტთათვის; მხოლოდ ბოროტი კაცი თუ გაიგებს მას უკუღმართად. დატოვებ ყველაფერი ისე, როგორც არის, წიგნი სწორედ ამითაა ძვირფასი და თქვენც ხალხი მადლობას გეტყვით, რადგან ნდობა გამოიჩინებ და ის არ დაუშალებ, რასაც კეთილი კაცი უცილობლად სწორად გაიგებს“. – ეს რჩევა ჩემთვის ცხადზე ცხადი იყო და ტროვიჩისა და ვაჟის სტამბის ტექნიკური ხელმძღვანელისგან, ბატონი კლავინისგან, მოდიოდა. მანვე შრიფტითა და ქალაქადით უზრუნველმყო, ორთოგრაფიული შეცდო-

გოეთეს დედას

1807 წლის 16 მაისი

...როცა ვაიმარამდე უკვე მცირეოდენი მილილა გვრჩებოდა, ჩემმა სიძემ სურვილი გამოთქვა, ვაიმარში შესვლის ნაცვლად სხვა გზით წავსულიყავით. მე არაფერი მითქვამს, მაგრამ ლულუ უარზე დადგა, უთხრა, რადგან პირობა მომცა, უნდა შეესრულებინა კიდეც. – ო, დედავ! ბეწვზე გადავურჩი ჩემ თავზევით დაკიდებულ ხმალს.

ვაიმარს თორმეტ საათზე მივაღებთ. საუბმედ დავსხედით, ოღონდ მე ლუკმაც არ მიჭამია. მერე ორივენი ტახტზე მიწვნენ მოსასვენებლად, რადგან სამი ღამე არ გვძინებია. ჩემმა სიძემ მითხრა: „გირჩევთ, თქვენც მოისვენოთ, გოეთესთვის სულ ერთია, ესტუმრებით თუ არა, და არც თქვენთვის იქნება რაიმე განსაკუთრებული სანახავი“. წარმოგიდგენიათ, ასეთი სიტყვები ნირს როგორ წამიხდენდა?! – რა მექნა, აღარ ვიცოდი, მართო ვიყავი უცხო ქალაქში; ტანთ გამოვიცვალე, ფანჯარასთან მივედი და კოშკის საათს გავხედე, ის-ის იყო, სამის ნახევარი შესრულებულიყო. მეც მომეჩვენა, რომ გოეთე-

მიმოხილვა გოეთესთან

გოეთე ბეტინას 10 ივნისი (1807)

პოეტი ზოგჯერ უზომოდ ხარობს, გაურითმავის გართმევა რომ ხელეწიფება, ამიტომაც სასურველი იქნება, რომ თქვენ, ძვირფასო ბავშვო, ყოველი მსგავსი შემთხვევა აღწეროთ, რომელსაც კი წააწყდებით.

აგრეთვე გთხოვთ, უფრო დაწვრილებით მიახლოდეთ მის შესახებ, ვინც ხუთი დღის მანძილზე თურმე თქვენს გულს ფლობდა და ისიც შემატყობინოთ, მტერი კვლავაც ხომ არ იმუქრება საფარიდან. გარდა ამისა, მივიღე ცნობა ახალგაზრდა კაცის შესახებ, დათვის ბეწვის ქუდში გამოწყობილი თქვენს სიახლოვეს ვითომდა ჭრილობათა მოშუშებას რომ იმედოვნებს, გულის წიაღში კი, ვინ იცის, იქნებ უსაზარლესი ჭრილობის მიყენება აქვს განზრახული.

ასეთი ხიფათის ჟამს მაინც გახსოვდეთ ის მეგობარი, რომელიც უფრო უპრიანად თვლის, თქვენი გულის ახირებებს ამჟამად წინ არ აღუდგეს.

გ.

ბეტინა გოეთეს

14 ივნისი

ძვირფასო გოეთე! ძვირფასო მეგობარო!

...რადგან ჩემს გულწრფელ ერთგულებას დასცინით, დარცხვენილი გაგიმხელთ დათვის ბეწვის ქუდის სამიჯნურო საიდუმლოებას. – არაფერია ნორჩ მცენარეზე უფრო მომხიბლავი, უხვად რომ ყვავის, ღვთის ხელი ყოველ სისხამ დილით ნამის უნაბესი მარგალიტებით რომ აგვირგვინებს და ფოთლებს სურნელით უფერადებს. – ასე ყვაოდნენ გასულ წელს დათვის ბეწვის ქუდის ქვეშ ლურჯი თვალები, ასე იღიმოდნენ და ხუმრობდნენ სათნო ტუჩები, ასე ირხეოდნენ მოქნილი ასონი და ასე ეკვროდა ნაზი გზნება ყოველ კითხვა-პასუხს, ხოლო ოხვრები, იმ ნორჩი მცენარის მსგავსად, გულის დაფარულ სურნელს აფრქვევდნენ. – ამ მშვენებას ჩავწვდი, მაგრამ შეეყვარებული არ ვყოფილვარ; ჭაბუკი ჰუსარი გიუნდეროდეს⁸ მივკვარე, რომელიც იმხანად ნაღვლიანად იყო. ყოველ საღამოს ერთად ვატარებდით, გონი გულს ეარშიყებოდა, ათასი გულისთქმა და უმშვენიერესი მოდულაცია მოვისმინე და შევიგრძენი – და მაინც არ ვიყავი შეეყვარებული. ჭაბუკი წავიდა – ეტყობოდა, გამოთხოვებამ გული ატკინა. „თუ აღარ დავბრუნდი, მერწმუნეთ, ჩემი ცხოვრების უძვირფასესი დღეები ეს

8. კაროლინე ფონ გიუნდეროდე (1780-1806) – პოეტი ქალი, ბეტინას მეგობარი, რომლის თვითმკვლელობაც ბეტინამ მწარედ განიცადა, მასთან მიმოწერა კი 1840 წელს წიგნად გამოცადა.